რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

ეკონომიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკური პრინციპები

The Political Principles of the Economic Independence

Политические принципы экономической самостоятельности

თბილისი
2016

ეკონომიკური თვითმყოფადობის უზრუნველყოფის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის (საკვალიფიკაციო შრომის დაცვა სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნოსტრიფიკაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში), პოსტსაბჭოთა სივრციდან ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი წევრის, თსუ ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ გეომედის პროფესორის, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მკვლევარ-პუბლიკანტისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "ეკონომიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკური პრინციპები" წარმოადგენს წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-8453-9 (PDF)

ეკონომიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკური პრინციპები

ადრეული ბავშვობის წლებიდან, განსაკუთრებით მაღელვებს ადამიანების სიღარიბის პრობლემები და ახლა უკვე პროფესიულად ვფიქრობ, თუ რა უნდა ვიღონოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა დამოუკიდებელი და ადამიანი მეტად ბედნიერი იყოს. არ მასვენებს კითხვები - რატომ უნდა იყოს მდიდარი ბუნებრივი რესურესების ქვეყანა ღარიბი, მისი მიწები კი აუთვისებელი და მოსახლეობა ნაკლებდასაქმებული, მაშინ, როცა, გაცილებით ნაკლები შესაძლებლობის ქვეყნები, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, სამნიშნა დონეს მიუახლოვდნენ, ჩვენ კი, გასული ათწლეულების უხეირო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ორნიშნაც კი სანატრელად შორეულ პერსპექტივად გაგვიხდა.

ეკონომიკა ძალზე რთულად იკრებს ტემპებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გული გავიტეხოთ და შევურიგდეთ ჩამორჩენილის ბედს. აქაც ხერხდება მდგომარეობის უცებ და არსებითად გაუმჯობესება. და ეს დაგვიდასტურა რეკორდული ჰიპერინფლაციის მყისიერმა ჩაქრობამ და საყოველთაო ჯანდაცვის უნიკალურმა რეფორმამ საქართველოში, სამხრეთ კორეის სწრაფი დაწინაურების მაგალითმა ცხოვრების დონის მაჩვენებლებში, მინიმალურმა ერთნიშნა უმუშევრობამ და ასევე ერთნიშნა ინფლაციამ უზარმაზარ და ერთ სულზე ადრე უღარიბეს ჩინეთში.

ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად გათვლილ და სტრატეგიულად მიზანმიმართულ და ხანგრძლივად ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას ახლავს, რასაც, ასეთ შემთხვევაში, წარმატებული ქვეყნების მხარდაჭერაც ახლავს ხოლმე.

ხანგრძლივი განსჯის შედეგად, ჩამოვაყალიბე პოლიტეკონომიური ხასიათის რამდენიმე პრინციპი, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომ ეკონომიკა დამოუკიდებელი და ადამიანი მეტად ბედნიერი იყოს. ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როცა აღნიშნული პრინციპების იგნორირება უდიდეს პრობლემებს უქმნიდა შესაბამისი ეპოქის ყველაზე მოწინავე ეკონომიკური კავშირების ქვეყნებსაც კი.

აი ეს 7 პრინციპიც:

1) ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი კავშირები სასარგებლო იქნება ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ ასეთ კავშირებში მცირე ქვეყნებმა არაფრით არ უნდა დაკარგონ თავიანთი თვითმყოფადობა;

2) დიდი ქვეყნები, ბუნებრივია, ფლობენ დიდ რესურსულ ბაზებს, მაგრამ სხვა ქვეყნებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვთ და, ჩემი გათვლებით, გლობალურად მასშტაბური რესურსების მქონე ქვეყნებიც (მ.შ., განსაკუთრებით, აშშ, რუსეთი, ჩინეთი) მეტად მოგებული იქნებიან, თუ სხვა ქვეყნების მეტად ეფექტიანი ფუნქციონირებით მსოფლიო პოტენციალი არსებითად გაიზრდება;

3) აუცილებელია საერთაშორისო ინტეგრაცია ანტიმონოპოლიურ რეგულირებაში (მ.შ., შესაძლოა, ბაზრის კონკურენტულობის შეფასების ჩემი მეთოდოლოგიითაც), რათა არაკეთილსინდისიერმა მსხვილმა მონოპოლიებმა არ დააზიანონ ადგილობრივი ბაზრები;

4) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირითადად უნდა ირჩეოდნენ მორალურად მტკიცე და გამოცდილი დიდი პროფესიონალები - იურისტები და პოსტკრიზისულ ეტაპზე, განსაკუთრებით, ეკონომისტები, რომლებიც „სკამისათვის“ კი არ იბრძოლებენ, არამედ გააზრებული პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრებაზე იღვაწებენ;

5) ეკონომიკის მაქსიმალურად სრული მარგი ქმედებისათვის, აუცილებელია ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის მონიტორინგი (მ.შ., შესაძლოა, ევროკავშირის მეთოდოლოგიის ჩემი განვითარებითაც) და კომპეტენტური რეკომენდაციების შემუშავების პროცესის ორგანიზება სტრუქტურის მუდმივი სრულყოფისათვის;

6) ყოველ ქვეყანაში, სამთავრობო, აკადემიური და საუნივერსიტეტო ეკონომიკური ინსტიტუტების მონაწილეობით, უნდა მუშავდებოდეს და საყოველთაო რეფერენდუმით მტკიცდებოდეს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი (15-20 წელი) სტრატეგიული მიმართულებები, რომლებსაც, მთავრობათა ცვლილების შემთხვევაში, სუბიექტური მოსაზრებებით აქტუალობა არ უნდა ეკარგებოდეს და მხოლოდ ისევ საყოველთაო რეფერენდუმს უნდა შეეძლოს მათი ცვლილება;

7) ქვეყანა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ვერ იქნება, თუ არ ექნება ეკონომიკის სრულყოფილი დარგობრივი სტრუქტურა და მასში პრიორიტეტულად უნდა ვითარდებოდეს ეპოქის ადეკვატური ტექნიკური ბაზა - მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობის გარეშე დამოუკიდებლობა ვერ მიიღწევა და ყველაზე მეტად მეცნიერებატევადი ეს დარგი ისეთი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს ქვეყნის სოფლის მეურნეობასა და სხვა რესურსულ პოტენციალს. მანქანათმშენებლობა თუ არ არსებობს ქვეყანაში, სტრატეგია მაინც უნდა მუშავდებოდეს და სრულდებოდეს აღნიშნულის მისაღწევად.

როგორც კი აღნიშნული პრინციპები გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში, რამდენიმე დღეში გავიგე, რომ საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი გაიხსნა, რომელზეც ახალი მთავრობა, თურმე, კარგა ხანია მუშაობს. ასე უნდა გაგრძელდეს და მთავრობის ფუნქციონირების ასაკის მიუხედავად, წესად უნდა დამკვიდრდეს, რომ მხოლოდ „ლიდერების“ ნათესავები კი არ ინდა სარგებლობდნენ სახელმწიფო პრივილეგიებით მასობრივად, არამედ, პირიქით, ლიდერი მაქსიმალურად მზრუნველი და მიუკერძოებელი უნდა იყოს. ეს უბრალოდ სიტყვები არ არის. ეს ხერხდება და უფრო მეტიც, თუ ვერ მოვახერხებთ, არაფერი გამოგვივა ეკონომიკაში.

გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავ და, პირველ ტექნოპარკთან დაკავშირებით, რომელიც მრავალი ათწლეულია საკითხის დასაბუთებულად დასმის მიუხედავად, ახლა გვეღირსა, დროა და ეკონომიკურ პოლიტიკაში აუცილებელ შემდგომ ოპერატიულ პრიორიტეტებად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეფექტიანი

რეკლამით სტიმული მიეცეს აუთვისებელ მიწებზე აქტიური პროფესიონალი ადამიანების მასობრივად განსახლების ნაკლებხარჯტევად პროექტებს (მოხერხებული კომპლექსების მშენებლობა), მზის და ქარის ენერგიის საცხოვრებელ სახლებში მასობრივად გამოყენებას, საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ერთად იაფ ჰიბრიდულ ქართულ მანქანებს და ა.შ.

ღმერთით, ამგვარად - ურთიერთხელსაყრელი კონტაქტებითა და გააზრებული პრიორიტეტებით ეშველება ქართულ ეკონომიკას და არამხოლოდ ქართულს.

წყაროები

1. რევაზ ლორთქიფანიძე, ეფექტიანი კონკურენცია საერთაშორისო ბიზნესში და სოციალური პერსპექტივები. - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2015, ISBN 978-9941-0-8382-2 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/134298
2. www.revaz-lordkipanidze.simplesite.com www.revazlordkipanidze.com